

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №01-06/05 მორიგის სხდომის
დღის-წესრიგის პროექტი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერი ლევან გორგილაძე

4. „ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

5. „ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 12 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 26 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სულიკო ჩხიკვაძე
თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

6. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და

სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტზე პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი თემურ ბერიძე
თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

7. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფლის-მეურნეობისა და მთის განვითარების საკითხებში მერაბ ტაკიძე
თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

8. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახურის უფროსი ეკატერინე ქაჯაია-კომახიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

9. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2018 წლის მიზნობრივი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი დავით თედორაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძე

10. „ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის სიცოცხლის ხელყოფის თაობაზე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისათვის გასაგზავნი მიმართვის ტექსტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- მარტი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 190020030.35.134.016185. 17/12/2015) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გეგმის ცვლილების ცნობა, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1):

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის :

ა) მე-2 მუხლი „მე-2“ და „მე-3“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ბრძანების შესაბამისად.

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) უფლებამოსილია განხორციელოს ცვლილებები (პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) პროგრამულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად“.

ბ) მე-3 მუხლი „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე მერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მერს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და მერის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. მერის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება მერის ბრძანებით), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტითა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. მერის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.“

2. დადგენილებით დამტკიცებული „დანართი №2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „_“ _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, ქვეპროგრამისა და პროგრამულ კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „_“ _____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

პროგრამული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, მხარჯავი დაწესებულება, პროგრამა, ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათშორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება
2. სარეზერვო ფონდი
3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი
4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

პასუხიშემგებელი შემსრულებელი:

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში განხორციელებული ცვლილებები აღმასრულებელი ორგანოს დასახელებასთან მიმართებაში.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის რომელის მიღებაც უზრუნველყოფს დამტკიცებული ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების პროცედურების სამართლებრივ რეგულაცებში სათანადო ცვლილებების განხორციელებას და მის მოწესრიგებას.

დადგენილ წესში ცვლილების შეტანის გარეშე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად ვერ განახორციელებს ბიუჯეტის მუხლებსა და კოდექს შორის თანხის გადანაწილებას. აქედან გამომდინარე ამ წესის შემოღების შემდეგ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიეცემა შესაძლებლობა განახორციელოს ბიუჯეტით მხარჯავი დაწესებულებისათვის, (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) პროგრამისათვისა და ქვეპროგრამისათვის მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილება 5%-ის ფარგლებში.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტში (დადგენილება) შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილების მე-2 მუხლში, დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „მე-2“ პუნქტში, მე-3 მუხლის „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტებში ცვლილებების შეტანა, ასევე დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური გეგმის ცვლილების ცნობა, თანახმად დანართი №2-ისა.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1):

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის :

ა) მე-2 მუხლი „მე-2“ და „მე-3“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ასიგნების გადანაწილება, მე-3 მუხლით დადგენილი წესით, შეიძლება განხორციელდეს ქედის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში - მერის) ბრძანების შესაბამისად.“

3. შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და მხარჯავი დაწესებულების (საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის) მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური (შემდგომში - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური) უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (პროგრამული კოდის ან პროგრამის დამატება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვა) პროგრამულ კლასიფიკაციაში. ეს ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად“.

ბ) მე-3 მუხლი „მე-3“, „მე-4“, „მე-5“, და „მე-6“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მხარჯავი დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ასიგნებების გადანაწილებაზე მერის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარჯავმა დაწესებულებამ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში არ უნდა წარადგინოს ვალდებულების დოკუმენტი იმ ასიგნებაზე, რომელთა გადანაწილებაზე არსებობს მოთხოვნა.

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური განიხილავს წარმოდგენილ წერილობით მოთხოვნას და არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა მერს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს (მოხსენებითი ბარათი და მერის ბრძანების პროექტი) ასიგნების გადანაწილების თაობაზე.

5. მერის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (რაც ფორმდება მერის ბრძანებით), საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს სათანადო ცვლილებას, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტითა და აჭარის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან თანხის გამოყოფის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ამზადებს მერის ბრძანების პროექტს ამ თანხის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის მიზნით. მერის მიერ ბრძანების გამოცემის შემდეგ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ატარებს შესაბამის ცვლილებებს ბიუჯეტის პროგრამულ კლასიფიკაციაში და მის მიერ დამტკიცებულ განწერაში, ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.“

2. დადგენილებით დამტკიცებული „დანართი №2“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

გეგმის ცვლილების ცნობა №

20 წლის „___“ _____

(მხარჯავი დაწესებულების, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, ქვეპროგრამისა და პროგრამულ კოდი)

(ცვლილების საფუძველი - სამართლებრივი აქტი)

20 წლის „___“ _____

(ცვლილების შინაარსი)

(ლარებში)

პროგრამული კოდი	საბიუჯეტო ორგანიზაცია, მხარჯავი დაწესებულება, პროგრამა, ქვეპროგრამა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	ცვლილების თანხა +/- (გადიდებული, შემცირებული)				
			წლიური	მათშორის: კვარტალების მიხედვით			
				I	II	III	IV
ჯამი							

დაფარვის ან მიმართვის წყარო

1. დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნება

2. სარეზერვო ფონდი

3. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი

4. დანარჩენი ცვლილება

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

პასუხიშემცემელი შემსრულებელი:

ხოლო ამავე დადგენილების პროექტის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2018 წლის -- თებერვალი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016186, 17/12/2015) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

ა) მე-3 მუხლის პირველ პუნქტის „ვ“, „თ“, „თ¹“ და „თ²“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით განიხილოს დასახლების საზღვრების დადგენისა და შეცვლის საკითხები და მოამზადოს შესაბამისი წინადადებები;“

„თ) განიხილოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრებაზე ინიცირებული საკითხი;“

„თ¹) მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით განიხილოს „ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის №318 დადგენილებიდან გამომდინარე სახელმწიფო პროგრამით სარგებლობით დაინტერესებული პირის განცხადება;“

„თ²) განიხილოს, აკმაყოფილებს თუ არა დაინტერესებული პირის განცხადება და მასზე დართული დოკუმენტაცია სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დასახლების საერთო კრება ადასტურებს დაინტერესებული პირის მიერ უძრავი ნივთის ფაქტობრივად ფლობას და შესაბამის წინადადებას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს, სააგენტოსადმი შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად. დასახლების საერთო კრება საკითხს

განხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერის მიერ დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირებიდან ერთი თვის ვადაში. განსაზღვრულ ვადაში მუნიციპალიტეტის მერისათვის შესაბამისი წინადადების წარდგენის თაობაზე გადაწყვეტილების მიუღებლობა საკითხის განხილვის გაგრძელებაზე უარის თქმად ჩაითვლება;

ბ) მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4. დასახლების საერთო კრების მოწვევის წესი

1. საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვთ :

ა) შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%- ს ;

ბ) მუნიციპალიტეტის მერს – საკუთარი ინიციატივით ან მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით ;

გ) საერთო კრების რჩეულს .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის ინიცირებისათვის შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული არა ნაკლებ 3 ამომრჩევლის შემადგენლობით იქმნება საინიციატივო ჯგუფი. საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს საინიციატივო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში). განცხადებას თან უნდა ერთოდეს საინიციატივო ჯგუფის წევრების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები და საერთო კრების დღის წესრიგი. საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხები საინიციატივო ჯგუფმა კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს.

3. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის მერია. საინიციატივო ჯგუფზე ინიციატივის რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობისა და საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივის რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაცია და საერთო კრების დღის წესრიგი ქვეყნდება ან ცხადდება საჯაროდ .

5. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები ან / და საერთო კრების დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვა - გადაწყვეტა არ განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ან / და საერთო კრების უფლებამოსილებას.

6. საინიციატივო ჯგუფის წევრს უფლება აქვს, რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი გაასაჩივროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად.“

7. საინიციატივო ჯგუფი საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის შედგენას იწყებს რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან. სიაში მიეთითება შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებული ამომრჩევლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა . სიის ყოველ ფურცელს ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრი .

8. რეგისტრაციის ცნობის მიღების დღიდან არა უგვიანეს 1 თვისა საინიციატივო ჯგუფი მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს განცხადებას საერთო კრების მოწვევის შესახებ. განცხადებაში მიეთითება საერთო კრების მოწვევის თარიღი, დრო და ადგილი (შესაბამისი დასახლების ტერიტორიის ფარგლებში). განცხადებას თან ერთვის ამ დებულებით განსაზღვრული წესით შეგროვებული, შესაბამის დასახლებაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 5%-ის ხელმოწერები.“

9. საერთო კრების მოწვევის თარიღად შეიძლება განისაზღვროს ამ მუხლის მე -8 პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის დღიდან არაუადრეს მე -15 დღე .

10. საერთო კრება უფლებამოსილია შეიკრიბოს საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის რეგისტრაციის ცნობის მიღების შემთხვევაში. რეგისტრაციის ცნობას გასცემს მუნიციპალიტეტის მერი ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელე შესაბამისი განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. რეგისტრაციაზე უარი დასაშვებია, თუ დარღვეულია ამ დებულებისა და კანონის მოთხოვნები. რეგისტრაციაზე მუნიციპალიტეტის მერის ან მის მიერ უფლებამოსილი მოხელის უარი შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

11. საერთო კრების დღის წესრიგის და მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია ამ დებულების შესაბამისად საჯაროდ ქვეყნდება ინფორმაციის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში .

12. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის შესახებ ინიციატივას მუნიციპალიტეტის მერიის მიერ რეგისტრაცია არ ესაჭიროება. აღნიშნულ შემთხვევაში საერთო კრების მოწვევის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება ამ მუხლის მე-8 – მე-11 პუნქტებით განსაზღვრული წესით, გარდა საერთო კრების მოწვევის ინიციატივის მქონე ამომრჩეველთა სიის წარდგენის პროცედურისა.“

13. მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის ინიცირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუამდგომლობით მუნიციპალიტეტის მერის მიერ საერთო კრების მოწვევის პროცედურას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერს უფლება არ აქვს, საერთო კრების დღის წესრიგში შეიტანოს საერთო კრების რჩეულის არჩევის საკითხი.“

14. მუნიციპალიტეტის მერი, სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირის განცხადების შემთხვევაში უზრუნველყოფს დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირებას ამ მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.“

15. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, მუნიციპალიტეტის მერი ვალდებულია უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით საერთო კრების მოწვევა წელიწადში არა ნაკლებ 2-ჯერ.“

16. საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, მათ შორის, ამ მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის შესაბამის დასახლებაში გავრცელებას, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერია და საინიციატივო ჯგუფი, აგრეთვე საერთო კრების რჩეული (არსებობის შემთხვევაში).“

გ) მე-5 მუხლის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა არანაკლებ 20%- ისა . საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რეგისტრაციის ორგანიზებას უზრუნველყოფს/უზრუნველყოფენ საინიციატივო ჯგუფი ან/და მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე ან/და საერთო კრების წევრები. რეგისტრაციისას მიეთითება საერთო კრების წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი , რეგისტრაციის ადგილი და ხელმოწერა .

2. საერთო კრების ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საინიციატივო ჯგუფის ის წევრი, რომლის ხელმოწერაც შესაბამის განცხადებაში პირველია მითითებული, ხოლო მისი არყოფნისას – საინიციატივო ჯგუფის სხვა წევრი ან საინიციატივო ჯგუფის თანხმობით – მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. საერთო კრების ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების საქმიანობას წარმართავს მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების საქმიანობას წარმართავს საერთო კრების რჩეული.

3. საერთო კრების ოქმის შედგენას უზრუნველყოფს საერთო კრების მდივანი. ამ დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საინიციატივო ჯგუფის წევრი, ხოლო მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოწვევის შემთხვევაში – ქედის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი მოხელე. იმ დასახლებაში, სადაც არჩეულია საერთო კრების რჩეული, საერთო კრების მდივნის ფუნქციას ასრულებს საერთო კრების რჩეული ან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

4. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ხმების უმრავლესობით. კენჭისყრა, როგორც წესი, ხელის აწევით იმართება. კენჭისყრის ფორმას საერთო კრების წევრებს აცნობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება დადგინდეს კენჭისყრის სხვა ფორმა. საერთო კრების ეტაპობრივად , დასახლების ცალკეულ ნაწილებში გამართვისას ჯამდება საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა ყველა ხმა.

„5. საერთო კრებაზე დგება საერთო კრების ოქმი. საერთო კრების ოქმში მითითებული უნდა იქნას საერთო კრების გამართვის თარიღი და ადგილი, ოქმის ნომერი, საერთო კრების მიერ განხილული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება, საერთო კრებაზე დამსწრე საერთო კრების წევრთა რაოდენობა და საჭიროების შემთხვევაში, სხვა ინფორმაცია. საერთო კრების ოქმს ხელს აწერენ ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული პირები. საერთო კრების ოქმის ასლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენას უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული პირი საერთო კრების გამართვიდან 7 დღის ვადაში.“

„მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21

დადგენილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ში განხორციელებული ცვლილებები კერძოდ: აღმასრულებელი ორგანოს დასახელებასთან მიმართებაში.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია „ქედის მუნიციპალიტეტის დასახლებათა საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №21 დადგენილების საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - ტერმინოლოგიური კუთხით შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ სამართლებრივ აქტში (დადგენილება) შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე. აქედან გამომდინარე სწორედ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტის შესაბამისად ხდება დადგენილებით დამტკიცებულ დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტის „ვ“, „თ“, „თ¹“ და „თ²“ ქვეპუნქტებში, მე-4 და მე-5 მუხლებში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, (იხ. დადგენილების პროექტი) აღნიშნული ცვლილებით ძირითადად განხორციელდა დაწესებულებისა და მისი ხემძღვანელის დასახელების „გამგეობა“- „გამგებელი“ შეცვლა „მერია“ - „მერი“-ით.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) ნორმატიული აქტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

ნორმატიული აქტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- მარტი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ
ანგარიშის მოსმენის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის მერის ლევან გორგილაძის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის -- მარტი

დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ
ანგარიშის მოსმენის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

შუქრი თურმანიძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2017 წლის შესრულების შესახებ

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 11 დეკემბრის #24 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური მოცულობა 10 526 236 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 598 396 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2017 წლის მდგომარეობით მიღებულია გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 142 600 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2 625 871 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1 506 450 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 943 743 ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი 539 461 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 404 282 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 291 638 ლარი, მათ შორის: პროცენტები 40 610 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 93 837 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 5 319 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 1 103 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 25 740 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 12 457 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 35 643 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 76 929 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 24 377 ლარი. 2017 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 93,3%-ით.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2017 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 598 396 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 603 159 ლარი. (90.6%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1734 649 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 696 858 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 505 002 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 488 339 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 225 834 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 205 931 ლარი.

საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 588 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 588 ლარი.

II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოები სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 56 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 876 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2017 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 56 800 ლარს, ხოლო ფაქტიური ხარჯი 50 876 ლარი.

III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 597 507 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 849 742 ლარი, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 482 734 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 405 890 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 91 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 187 ლარი.

სოფელ დოხოძეების საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 748 ლარი.

სოფელ გეგელიძეების ცენტრში საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 083 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 083 ლარი.

სოფელ ცხმორისში (ნაკაშიძეების უბანი) საცალფეხო ბილიკის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 351 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 351 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 378 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 368 520 ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 292 131 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 3 833 322 ლარი, საიდანაც

შპს „ქედის კომუნალურისერვისი“ 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 334 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 333 998 ლარი.

გარე განათების ქსელის გაფართოება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 49 883 ლარი.

სპეცტექნიკის შეძენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 199 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199 000 ლარი.

ნაგავმზიდი ავტომობილის შეძენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 280 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 280 000 ლარი.

შპს „ქედის წყალკანალი“ 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 199 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 198 936 ლარი.

აწვევის, ახოსა და ქედის წყალმომარაგების ქსელში აბონენტთა გამრიცხველიანება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 485 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 485 ლარი.

სს "აჭარის წყლის ალიანსის" საწესდებო კაპიტალის შენატანი 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 200 ლარი.

ხარაულა-ჯალაბაშვილების სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 234 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 234 498 ლარი.

გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 56 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 55 992 ლარი.

ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 96 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 95 974 ლარი.

აბუქეთის სასმელი წყლის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 001 ლარი.

ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43 608 ლარი.

კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 136 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 109 189 ლარი.

სოფელ ოქტომბერში წყლის სამარაგო ავზის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 688 ლარი.

სარწყავი არხების სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიღების შექმნა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 878 ლარი.

ოქტომბრის თემში (კვინჩხას უბანი) წყალშემკრები და სამარაგო ავზის მშენებლობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 853 ლარი.

სოფელ ძენწმანში წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 046 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 517 346 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 093 135 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატოს შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 436 046 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 278 708 ლარი.

მუნიციპალური(ყოფილი კოპერაციის ადმინისტრაციული შენობა) შენობის რეაბილიტაცია 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 493 ლარი,

დაბის ტეროტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 722 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 610 639 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველი მაისი, მახუნცეთი) 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 430 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 375 463 ლარი.

ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ზენდიდისა და კავიანის ციხეებზე მისასვლელი გზების, ბილიკების და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 228 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 224 050 ლარი.

აწვევის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 680 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 584 409 ლარი.

აწვევის სავაჭრო დახლის მოწყობა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 373 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 58 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 57 960 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 767 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 767 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2017 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 645 853 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 564 922 ლარი.

